საჯარო სამართლის იურიდიული პირი –

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება №01-08/3

11 იანვარი 2011 წ. ქ. ბათუმი

სსიპ ,,შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში“ 2010-2011 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის გადაყვანა/აღდგენის წესით ჩარიცხვის მსურველთათვის მობილობის წესისა და რეგისტრაციის ვადის განსაზღვრის შესახებ

„ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 51-ე, 52–ე და 53-ე მუხლების, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,თ'' ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის ბრძანება №10/ნ „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესი“–ს, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2010 წლის 27 დეკემბრის №114 „მობილობის პროცესის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ვადების განსაზღვრის შესახებ“, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2009 წლის 27 ოქტომბრის №125 დადგენილების „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესის“ საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს სსიპ ,,შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ 2010-2011 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის სტუდენტთა მობილობის წესი (დანართი 1);
2. დაევალოს ფაკულტეტების დეკანებს 2010-2011 სასწავლო წლის გაზაფხულის სემეს-ტრისათვის სტუდენტთა გადაყვანა/აღდგენის წესით ჩარიცხვისათვის შესაბამისი დასკვნების მომზადება და სასწავლო და სამეცნიერო პროგრამების მართვის დეპარტამენტში წარდგენა 2011 წლის 11 თებერვლამდე;
3. დაევალოს სასწავლო და სამეცნიერო პროგრამების მართვის დეპარტამენტს რსუ-ში 2010-2011 სასწავლო წლის მეორე სემესტრისათვის სტუდენტთა მობილობის კოორდინირება;
4. მობილობის მსურველის ცოდნისა და უნარების საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებადობის დადგენის მიზნით საფაკულტეტო კომისიებმა უზრუნველყონ გასაუბრების ჩატარება 2011 წლის 10 თებერვლისთვის.
5. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას ამ ბრძანების საჯაროდ გამოქვეყნება;
6. დაევალოს საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და კომუნიკაციების სამსახურს ამ ბრძანებისა და მობილობის წესის განთავსება რსუ-ს ვებ-გვერდზე.

რექტორი, პროფესორი: ა.ბაკურიძე

სტუდენტთა მობილობის წესი

1. მობილობის წესი არეგულირებს სტუდენტის გადასვლას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში (მობილობა).

2. სტუდენტთა მობილობის პროცესის ადმინისტრირებას ახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი.

3. სტუდენტთა მობილობის პროცესის ადმინისტრირებისათვის იქმნება საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ელექტრონული პორტალი, რომელზეც აისახება დაწესებულებების მიერ მობილობისათვის რეგისტრირებული ადგილები ფაკულტეტების ან საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით, მობილობის მსურველთა მონაცემები და ქვეყნდება დაწესებულებაში მობილობის წესით ჩარიცხვის კანდიდატთა სია.

4. მობილობის უფლება აქვს პირს, რომელიც

ა) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტია;

ბ) არის არააკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტი, რომელსაც გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის ნაწილი კანონმდებლობით დადგენილი წესით აკრედიტირებულად ეთვლება;

გ) პირს, რომელსაც შეჩერებული აქვს სტუდენტის სტატუსი.

5. 2010 წლის 4 თებერვლამდე გარიცხული/ამორიცხული სტუდენტი განიხილება სტუდენტის სტატუსის შეჩერებულ პირად გარიცხვის/ამორიცხვის შესახებ ბრძანების გამოცემიდან ათი წლის განმავლობაში და ამ ვადაში უფლებამოსილია მიმართოს დაწესებულებას სტუდენტის სტატუსის აღდგენის თაობაზე ან ისარგებლოს მობილობის უფლებით, თუ გარიცხვის/ამორიცხვის საფუძველი არ არის ამ წესით დადგენილი სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი.

6. ფინანსური დავალიანებით გარიცხული სტუდენტის აღდგენის წესით ჩარიცხვა განხორციელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა აღდგენის წესით ჩარიცხვის მსურველი სრულად დაფარავს ფინანსურ დავალიანებას.

7. მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს უმაღლესი განათლების ერთი საფეხურის ფარგლებში. მობილობისას ერთსაფეხურიანი სამედიცინო განათლებისა და ვეტერინარიის საგანმანათლებლო პროგრამები განიხილება აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებადად. დაუშვებელია მობილობა პროფესიული უმაღლესი განათლების პროგრამიდან ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე.

8. სტუდენტების მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს კალენდარული წლის განმავლობაში ორჯერ, განათლების აკრედიტაციის ცენტრის მიერ დადგენილ ვადაში.

9. სტუდენტს მობილობის უფლება წარმოეშობა უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურზე სწავლების ერთი წლის შემდეგ კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. რსუ უშვებს აგრეთვე სტუდენტთა მობილობას ფაკულტეტებზე (შიდა მობილობა). სხვა ფაკულტეტზე სწავლის გაგრძელების მსურველი სტუდენტი მობილობისათვის დადგენილ ვადებში მიმართავს რსუ-ს რექტორს. მიმღები ფაკულტეტი, რსუ-ში დადგენილი წესით, ადგენს სტუდენტის მიერ განვლილი პროგრამისა და სტუდენტისათვის სასურველი პროგრამის თავსებადობისა და შესაბამისობის დასკვნას, რის საფუძველზეც განისაზღვრება სასურველ პროგრამაზე სწავლების ეტაპი და გამოიცემა რექტორის ბრძანება.

11.რსუ-თვის დადგენილი სტუდენტთა საერთო რაოდენობის ფარგლებში მობილობისათვის გამოყოფილი ადგილების რაოდენობას, ფაკულტეტების მიხედვით, პროფესიული და აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისათვის ცალკ-ცალკე ადგენს რსუ-ს აკადემიური საბჭო, რაც კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირდება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ელექტრონულ პორტალზე.

12. აკადემიური საბჭო ამტკიცებს აგრეთვე შიდა მობილობისათვის გამოყოფილი ადგილების რაოდენობას, ფაკულტეტების, საგანმანათლებლო პროგრამებისა და სწავლების საფეხურების მიხედვით.

13. მობილობის უფლების მოსაპოვებლად სტუდენტი უნდა დარეგისტრირდეს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ელექტრონულ პორტალზე (www.nea.ge) რეგისტრაციის გამოცხადების შემდეგ. სტუდენტი უფლებამოსილია აირჩიოს არა უმეტეს 5 ფაკულტეტისა ან საგანმანათლებლო პროგრამისა. რამდენიმე ფაკულტეტსა ან საგანმანათლებლო პროგრამაზე რეგისტრაციისას იგი ვალდებულია განსაზღვროს მათი პრიორიტეტულობა. სტუდენტის რეგისტრაციის ვადის დასრულების შემდეგ პორტალზე გამოქვეყნდება იმ პირთა სია, რომლებმაც მოიპოვეს შესაბამის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მობილობის უფლება.

14. თუ რსუ–ს ფაკულტეტზე ან საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის მსურველთა განაცხადების რაოდენობა რეგისტრირებული ადგილების რაოდენობაზე მეტია, რსუ–ში ჩარიცხვის უფლებას მიიღებენ რსუ–ს მიერ რეგისტრირებული ადგილების შესაბამისი რაოდენობის სტუდენტები, რომელთა ერთიანი ეროვნული/სამაგისტრო გამოცდების შედეგები აღემატება მობილობის სხვა მსურველთა შესაბამის შედეგებს. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის უფლების მოპოვება ხორციელდება შესაბამისი პროგრამით დადგენილი ჩარიცხვის წინაპირობების დაცვით.

15. მობილობის /აღდგენის წესით ჩარიცხვის მსურველი ვალდებულია დადგენილ ვადებში შესაბამისი განცხადებით მიმართოს რსუ-ს. განცხადებების წარდგენისა და განხილვის ვადები განისაზღვრება რსუ-ს რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით. მობილობის/აღდგენის წესით ჩარიცხვის მსურველთა განცხადებების რეგისტრაციას აწარმოებს რსუ-ს სასწავლო და სამეცნიერო პროგრამების მართვის დეპარტამენტი. რეგისტრაციის პერიოდის დასრულების შემდეგ განცხადებები განსახილველად გადაეცემა შესაბამის ფაკულტეტს. მობილობის მსურველი, რომელიც დადგენილ ვადაში არ წარმოადგენს განცხადებას, თანდართული დოკუმენტაციით, კარგავს მის მიერ პორტალზე დარეგისტრირებულ, რსუ-ს ფაკულტეტზე ან საგანმნათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებას, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

16. შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში მობილობის ფარგლებში საბუთების მიღება განისაზღვრება აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის მიერ დადგენილი ვადებით; მობილობის გამოცხადების შემდეგ საბუთების მიღება იწარმოებს რსუ-ს სასწავლო და სამეცნიერო პროგრამების მართვის დეპარტამენტში, № 40 ოთახში, სამუშაო დღეებში 10 საათიდან 17 საათამდე; ტელეფონი 7–17–97;

17. სხვა უმაღლესი სასწავლებლიდან რსუ-ში მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველებმა სასწავლო და სამეცნიერო პროგრამების მართვის დეპარტამენტში განსაზღვრულ ვადებში უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები:

1. განცხადება;

2. პირადობის მოწმობა;

3. ზოგადი განათლების მიღების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

4. სასწავლო ბარათის დამოწმებული ასლი/აკადემიური ცნობა სტუდენტის მიერ ათვისებული კრედიტების შესახებ;

5. ცნობა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სტუდენტის სტატუსის შესახებ;

6. ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის დამადასტურებელი სერთიფიკატის ასლი;

7. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის ბრძანების დამოწმებული ასლი.

18. აღდგენის წესით ჩარიცხვის მსურველებმა რეგისტრაციისათვის განსაზღვრულ ვადებში რსუ-ს სასწავლო და სამეცნიერო პროგრამების მართვის დეპარტამენტში უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები:

1.განცხადება;

2. პირადობის მოწმობა;

3. ზოგადი განათლების მიღების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

4. სასწავლო ბარათის დამოწმებული ასლი/აკადემიური ცნობა სტუდენტის მიერ ათვისებული კრედიტების შესახებ;

5. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის ბრძანების ასლი;

6.ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის დამადასტურებელი სერთიფიკატის ასლი;

7. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის ბრძანების დამოწმებული ასლი.

19. ფაკულტეტის შეცვლის მსურველმა რსუ-ს სტუდენტებმა სასწავლო და სამეცნიერო პროგრამების მართვის დეპარტამენტში განსაზღვრულ ვადებში უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები:

1. განცხადება;

2. პირადობის მოწმობა;

3. ზოგადი განათლების მიღების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი ;

4. სასწავლო ბარათის ასლი, დამოწმებული ფაკულტეტის დეკანის მიერ;

5.ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ;

6.ამონაწერი უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვის ბრძანებიდან;

7.ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის სერტიფიკატის ასლი;

20. თუ მობილობის მსურველთა განცხადების რაოდენობა ფაკულტეტებზე გამოცხადებულ ადგილების რაოდენობაზე მეტია, მაშინ უნივერსიტეტი იტოვებს უფლებას მობილობის მსურველებს ფაკულტეტებზე ჩაუტარდეთ შესარჩევი გამოცდა.

21. მობილობის მსურველის ცოდნისა და უნარების საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებადობის დადგენის მიზნით საფაკულტეტო კომისიას უფლება აქვს ჩაატაროს გასაუბრება.

22. მობილობის/აღდგენის წესით ჩარიცხვისას, შესაბამისი ფაკულტეტის კურიკულუმის კომიტეტი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შეთანხმებით ადგენს დასკვნას მობილობის/აღდგენის მსურველი პირის მიერ სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგებისა და შეთავაზებული საგანმანათლებლო პროგრამების თავსებადობისა და შესაბამისი კრედიტების აღიარების მიზანშეწონილობის შესახებ, რსუ-ში მიღებული კრედიტების ცნობის წესის შესაბამისად.

23. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რექტორი ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით შეიმუშავებს გადაყვანის წესით სტუდენტების ჩარიცხვის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტს, რომელიც წარედგინება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრს.

24. რსუ-ში მობილობის წესით ჩარიცხული სტუდენტი ვალდებულია დადგენილ ვადებში წარმოადგინოს საგანმანათლებლო დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც იგი ჩაირიცხა უმაღლეს სასწავლებელში და მის პირად საქმეში არსებული სხვა დოკუმენტაცია.

25. რსუ-ში მობილობით/აღდგენის წესით ჩარიცხულ სტუდენტთან, ასევე შიდა მობილობის განხორციელების და შეჩერებული სტატუსის აღდგენისას, რსუ-სა და სტუდენტს შორის ფორმდება ხელშეკრულება.

26. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დადებითი დასკვნის გაცემის შემდეგ, კანონმდებლობით დადგენილ ვადებში, რექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომელიც გამოცემიდან 7 დღის ვადაში იგზავნება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში, ხოლო სტუდენტის მობილობა აისახება სტუდენტთა რეესტრში.

27. შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2010-11 სასწავლო წლის პირველი სემესტრისათვის გადაყვანა/აღდგენის წესით ჩარიცხვა მოხდება „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერებათა მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანების, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2010 წლის 27 დეკემბრის №114 ბრძანებისა და „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2009 წლის 27 ოქტომბრის დადგენილება №125 „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესის“ მე-4 მუხლის შესაბამისად.